<u>შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია - ტექნიკური დავალება</u>

თბილისის ყინულის სასახლის შენობის მშენებლობისთვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და ამავე დოკუმენტაციის საფუძველზე, სამშენებლო სამუშაოების განხორციელება

ტექნიკური დავალება

1.1. ობიექტის დასახელება
თბილისის ყინულის სასახლე;

1.2. ტექნიკური დავალება
1.2.1. მომსახურების მიზანი და პირობები

მომსახურების მიზანს წარმოადგენს, ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე, მიწის ნაკვეთზე (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.72.14.009/021 ყინულის სასახლის **შენობის მშენებლობისათვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, აღნიშნული საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება ნებართვის გამცემ შესაბამის ორგანოსთან (საჭიროების შემთხვევაში განაშენიანების რეგულირების გეგმის მომზადება და დამტკიცება) და შემდგომ ამავე დოკუმენტაციის საფუძველზე, სამშენებლო სამუშაოების განხორციელება.**

<u>საპროექტო დოკუმენტაცია დამუშავებული უნდა იყოს, საქართველოში მოქმედი, დარგის შესაბამისი კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად.</u>

მიწის ნაკვეთის ტერიტორიის საერთო ფართი შეადგენს **16,112.00 მ²**, რომელზეც უნდა დამუშავდეს ტერიტორიის კეთილმოწყობის და შენობის არქიტექტურის პროექტი (ნაკვეთზე განსაზღვრული საპროექტო არეალის მიხედვით კ-1, კ-2 და კ-3 კოეფიციენტების გათვალისწინებით).

1.2.2. დასაპროექტებელი ობიექტის მოკლე აღწერა და საპროექტო დოკუმენტაციაში გასათვალისწინებელი სამუშაოების ჩამონათვალი:

ძირითადი მოთხოვნები:
გეგმარებითი ნაწილი:

- ყინულის სასახლე უნდა წარმოადგენდეს ერთიანი არქიტექტურული ობიექტის სტრუქტურას;
- ყინულის სასახლე უნდა შედგებოდეს ორი დამოუკიდებელი სპოტული მოედნისგან: ერთი ძირითადი და ერთი სავარჯიშო მოედნით;
- ორივე მოედნისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს, თვისობრივი მახასიათებლებიდან გამომდინარე, ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ერთიანი საინჟინრო, საკომუნიკაციო, მართვის და უსაფრთხოების სისტემა, ასევე ადმინისტრაციული ნაწილი;
- საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებული უნდა იყოს პარკინგის ოთხი სივრცე, პირველი ვიზიტორთათვის რომელიც შესაბამისობაში იქნება სტანდარტებით გათვალისწინებულ ვიზიტორთა რაოდენობასთან (არანაკლებ 200 ერთეულზე), მეორე ადმინისტრაციული; მესამე VIP და მეოთხე შესაბამისი ღონისძიების წარმომადგენლობა გუნდები და კლუბები; პარკირების ოთხივე სეგმენტს უნდა გააჩნდეს დაშვების ავტონომიური სისტემები (ტურნიკეტები შლაგმაუმები და ა.შ.);
- პროექტით გათვალისწინებული უნდა იყოს ტერიტორიის გამწვანება, სარწყავი სისტემები, დაშვების სისტემები, სამეთვალყურეო სისტემები, ტერიტორიის შემოღობვის და ტერიტორიის განათების მოწყობის სამუშაოები;

დასაპროექტებელი ობიექტი სრულად უნდა შეესაბამებოდეს ქვეყანაში მოქმედ, დარგის შესაბამისი კანონდებლობით დადგენილ მოხოვნებს, ნორმებსა და თუ წესებს. შენობა სრულად ადაპტირებული უნდა იყოს შშმ-პირებზე, პროექტი სრულ თანხვედრაში უნდა იყოს „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ ტექნიკურ რეგლამენტთან. პროექტის მომზადებისას გათვალისწინებული იყოს მოქმედი სამშენებლო წესებისდა ნორმების მოთხოვნები (მაგრამ არ შემოიფარგლება):

- საქართველოს მთავრობის დადგენილება №41 2016 წლის 28 იანვარი ქ. თბილისი ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე;
- საქართველოს მთავრობის №41 დადგენილება 2014 წლის 6 იანვარი ქ.თბილისი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება N57 2009 წლის 24 მარტი „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №63 2017 წლის 6 თებერვალი ქ. თბილისი„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №59 2014 წლის 15 იანვარი ქ. თბილისი ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება N255 2019 წლის 31 მაისი „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“, ქ. თბილისი;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება N256 2019 წლის 31 მაისი, ქ. თბილისი;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება N485 2017 წლის 27 ოქტომბერი;
- ტექნიკური რეგლამენტის-ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს ბრძანება N 308/ნ.
- ტექნიკური რეგლამენტი -მისაწვდომების ეროვნული სტანდარტები;
- ,,ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტუქციები” (ᲡᲜ 03.01-09);
- „სეისმომედეგი მშენებლობა“ (ᲡᲜ 01.01-09);
- „შენობების და ნაგებობების ფუძეები” (ᲡᲜ 02.01-08) СНиП 2.01.07-85;
- СП 118.13330.2012 Общественные Здания и Сооружения;
- СП 118.13330.2012 Общественные Здания и Сооружения;
- СНиП II-64-80. Строительные нормы и правила. Часть II, Глава 64.
- детские дошкольные учреждения.
- СП 31-112-2004. Физкультурно- Спортивные Залы, Часть 1, 2;
- СНиП 3.02.01-87 «Земляные сооружения, основания и фундаменты».;
- СНиП 3.05.04-85 «Наружные сети и сооружения водоснабжения и канализации».;
- СНиП III-10-75 «Благоустройство территории».;
- СНиП 2.05.02-85 «Автомобильные дороги».;
- СНиП 12-01-2004 «Организация строительства»;
- СНиП 12-03-2001 «Безопасность труда в строительстве. Часть 1. Общие требования»;
- СНиП 12-04-2002 «Безопасность труда в строительстве. Часть 2.
- Строительное производство»;
- СНиП 21-01-97* Пожарная безопасность зданий и сооружений;
- СНиП 23-05-95* Естественное и искусственное освещение;
- СНиП 41-01-2003 Отопление, вентиляция и кондиционирование;

- СНиП 2.04.01-85* Внутренний водопровод и канализация зданий;
- СНиП 2.04.02-84* Водоснабжение. Наружные сети и сооружения;
- СНиП 2.04.03-85* Канализфция. Наружные сети и сооружения;
- СНиП 3.05.06-85 Электротехнические устройства;
- ГОСТ 12.1.004-91 ССБТ. Пожарная безопасность. Общие требования;
- СП 31-110-2003 Проектирование и монтаж электроустановок жилых и общественных зданий;
- СП 4723-88 Санитарные правила устройства и эксплуатации систем централизованного горячего водоснабжения
- СанПиН 2.1.4.1074-01 Питьевая вода; Гигиенические требования к качеству воды централизованных систем питьевого водоснабжения; Контроль качества;
- ВСН 1-73 Нормы электрического освещения спортивных сооружений;
- НПБ 88-2001* Установки пожаротушения и сигнализации. Нормы и правила проектирования НПБ 104-03 Системы оповещения и управления эвакуацией людей при пожарах в зданиях и сооружениях;
- НПБ 110-03 Перечень зданий, сооружений, помещений и оборудования, подлежащих защите автоматическими установками пожаротушения и автоматической пожарной сигнализацией;
- ПУЭ Правила устройства электроустановок.

კონტრაქტორი ვალდებულია უზრუნველყოს სასმელი წყლის და კანალიზაციის და გაზიფიკაციის მიერთების საფასურის გადახდა, სემეკის შესაბამისი რეგულირების მიხედვით პროვაიდერი კომპანიისათვის (ქსელის არსებობის შემთხვევაში).
მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საექსპერტო დასკვნების და სახელმწიფო სტრუქტურებიდან ნებართვების/შეთახმებების მოპოვება, ტექნიკური პირობების მოაპოვება (მოსაკრებელის გათვალისწინებით).

<u>1.2.2.2 ინტერიერი</u>

✓ ინტერიერი მინიმალისტური;

<u>1.2.2.3 შენობის ექსტერიერი;</u>

✓ მინიმალისტური, ენერგოეფექტური;

ტექნიკური მოთხოვნები:
გეგმარებითი ნაწილი:

- ყინულის მოედნის რაოდენობა - 2;
- ყინულის მოედნის ზომა - 60 მეტრი 30 მეტრზე ;
- მაყურებლების რაოდენობა, ძირითად მოედანზე - 1500, მეორე მოედანზე 150-200;
- გასახდელების რაოდენობა ძირითად მოედანზე 6, მეორე მოედანზე 4;
- მოედნის გაბარიტული ზომა - სიგრძე 60 მეტრი, სიგანე 30 მეტრი;
- მოედნის ოთხივე გვერდი უნდა იყოს მოხრილი თაღისებრი ფორმით და დიამეტრი უნდა შეადგენდეს 7-8.5 მეტრს;
- ყინულის მოედნის ზედაპირიდან პირველი ობიექტი უნდა გვხვდებოდეს მინიმუმ 7 მეტრის სიმაღლეზე;
- მოედანზე უნდა იყოს 2 ე.წ. ბენჩი (მოთამაშეების სკამები) რომლებიც ცენტრის ხაზიდან უნდა იყოს დაშორებული მინიმუმ 2 მეტრით, სიგრძე 10 მეტრი, სიგანე 1.5 მეტრი. თითოეულ ბენჩს უნდა ჰქონდეს მოედანზე გასასვლელი 2 კარი;
- ბენჩის მოპირდაპირე მხარეს უნდა იყოს საჯარიმო ყუთები ე.წ. Penalty Box-ები და Penalty Box-ებს შორის უნდა იყოს ე.წ Scorekeeper's Bench, ანგარიშს ვინც ითვლის და დროს ვინც აკონრტროლებს მათთვის სკამები;
- მოედნის გარშემო უნდა იყოს "ბორტი" რომელიც ყინულის ზედაპირიდან უნდა იყოს 107 სანტიმეტრის სიმაღლეზე;

- ბორტის ძირში უნდა იყოს ყვითელი ზოლი სიმაღლით 15-25 სანტიმეტრი;
- ბორტს ზემოდან უნდა ჰქონდეს დამაგრებული სპეციალური მინა, რომელიც მოედნის გვერდებზე უნდა იყოს 2.4 მეტრის სიმაღლის ხოლო კუთხეებში და კარების უკან 4 მეტრის სიმაღლის;
- კარების უკან სპეციალური შუშებიდან შენობის ბოლომდე სიმაღლეზე უნდა ადიოდეს სპეციალური დამცავი ბადე;
- როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე მოედნის შენობის ერთ-ერთ კედელზე უნდა იყოს განთავსებული ერთმხრივი ტაბლო რომელსაც ექნება LED ტიპის ეკრანი. იმ შემთხვევაში თუ ტრიბუნები განთავსებული იქნება ორივე მხარეს, მაშინ ერთმხრივი ტაბლო უნდა იყოს განთავსებული ორივე მხარეს;
- გასახდელების რაოდენობა ჯამში 6 (უნდა ემსახურებოდეს ორივე მოედანს) აქედან 3 ფიგურული სრიალისთვის და 3 ჰოკეისთვის. ტურნირის დროს 6-ვე გასახდელს გამოიყენებს ის ფედერაცია, რომელიც იქნება ღონისძიების მასპინძელი. თითო გასახდელის ფართობი 50 კვადრატული მეტრი, დამატებით 10 მ² 6 ეთეული საშხაპე, 2 ხელსაბანი 2 მ², 3 საპირფარეშო ჯამში 5 მ² და გასახდელზე დამატებული სივრცე სხვა ოთახებში გადასასვლელად ჯამში 3 მ². გასახდელ ოთახებში აუცილებლად უნდა იყოს დამონტაჟებული ოთახის საშრობი სისტემა რათა მოხდეს სველი აღჭურვილობის გაშრობა. გასახდელში უნდა დამონტჟდეს ყინულის ჰოკეის მოთამაშეებისთვის გათვალისწინებული ავეჯი, კომპაქტურად მოწყობილი შესანახი სივრცეებით ჯამში 30 მოთამაშეზე;
- მსაჯების ოთახი - 30 მ², დამატებით 5 მ² 3 საშხაპით, 2 ხელსაბანი 2 მ² და 3 საპირფარეშო ჯამში 5 მ². აღნიშნულ ოთახში უნდა დამონტაჟდეს საშრობი სისტემა რომელიც გააშრობს სველ აღჭურვილობას. მსაჯების ოთახში უნდა განთავსდეს სპეციალური ყინულის ჰოკეის მსაჯებისთვის განკუთვნილი ავეჯი, კომპაქტურად მოწყობილი შესანახი სივრცეებით, ჯამში 10 მსაჯზე გათვლილი;
- მედია ტრიბუნა გათვლილი 20 ჟურნალისტზე;
- „VIP ტრიბუნა“ უნდა მდებარეობდეს სამსაჯო არეალის უკანა მხარეს ტრიბუნის შუა ნაწილში, გათვლილი 70-100 ადამიანზე, რასაც გამოიყენებენ საერთაშორისო ტურნირის დროს ჩამოსული დამკვირვებლების ჯგუფი და სხვადასხვა დელეგაციის წევრები. VIP ტრიბუნას აუცილებლად უნდა ჰქონდეს წვდომა ქეითერინგ ოთახთან;
- სარემონტო-სალესი ოთახი - 20 მ², სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს ციგურების სალესი დანადგარის და მცირე სტელაჟების მოსაწყობად;
- ციგურების შესანახი ოთახი - 40 მ²; სადაც განთავსებული უნდა იყოს თაროები ციგურების შესანახად. ოთახში გათვალისწინებული უნდა იყოს სველი ციგურების საშრობი, ციგურების გასაქირავებელ ოთახს წინა ნაწილში უნდა ჰქონდეს პატარა ფანჯარა საიდანაც მოხდება ციგურების გაქირავება;
- ინვენტარის შესანახი ოთახი - 40 კმ²;
- სარეცხი და საშრობი ოთახი - 20 მ². აღნიშნულ ოთახში გათვალისწინებული უნდა იყოს სარეცხი და საშრობი აგრეგეტებისათვის;
- სამედიცინო ოთახი - 20 მ². აღნიშნულ ოთახს პირდაპირი წვდომა უნდა გააჩნდეს, როგორც ყინულის მოედანთან, ასევე ყინულის სასახლის შენობის გარე არეალთან, რათა საჭიროების შემთხვევაში მარტივი იყოს პაციენტის სამედიცინო დახმარების ავტომობილში გადაყვანა;
- ფიზიოთერაპიის ოთახი 15 მ² თავისი სვეელი წერტილით 5 მ²;
- დოპინგ-კონტროლის ოთახი 20 მ²;
- კოსტიუმების შესაკეთებელი (სამკერვალო) ოთახი 15 მ²;
- საპარიკმახერო და მაკიაჟის ოთახი 25 მ²;
- ე.წ. off ice სავარჯიშო სივრცე - 100 მ², აღნიშნული სივრცის გადაკეთება შესაძლებელი უნდა იყოს ფიგურული ციგურაობის შეჯიბრის დროს დასასვენებელ დარბაზად (სპორცმენებისა და დელეგაციის წევრებისთვის);

- სატრენაჟორო დარბაზი - 100 მ²;
- გასათვალისწინებელია, რომ ისეთ სივრცეებში სადაც შესაძლებელია მოხდეს ციგურებიანი ვიზიტორის ან და სპორტსმენის გადაადგილება იატაკზე დაგებული უნდა იყოს ე.წ. მატები, რეზინის სპეციალური ზედაპირი, რომელიც იცავს ციგურს დაზიანებისგან და მასზე გადაადგილება ციგურებით არის უსაფრთხო;
- ქორეოგრაფიის დარბაზი 100 მ², სადაც დარბაზის ერთ განივ კედელზე დამაგრებული უნდა იყოს სარკეები და სარკის წინ ჰორიზონტალური ძელი;
- ორი ერთეული დამოუკიდებელი კვების ობიექტი, შესაბამისი ინფრასტრუქტურით, ფოიესთან წვდომით, მაყურებლების რაოდენობის გათვალისწინებით;
- მაღაზია სპორტული ატრიბუტების გასაყიდად, ფართით 40 მ²;
- 4 მაღაზია ყინულის სპორტის სახეობებისთვის, ყინულის ჰოკეის მაღაზია 40 მ², ფიგურული ციგურაობის მაღაზია 30 მ² შორტ ტრეკის და კერლინგის მაღაზიები 20-20 მ²;
- ყინულის ჰოკეის და ფიგურული ციგურაობის ეროვნული ფედერაციისთვის გამოყოფილი ოფისი - თითოეულისთვის 50 მ², და ორივე ფედერაციისთვის ხელმისაწვდომი ერთი 50 მ² საკონფერენციო დარბაზი; ასევე, მოსასვენებელი სივრცე 35 მ² რომლითაც ისარგებლებს ორივე ფედერაცია.
- ყინულის მოედნის მთლიან ტერიტორიაზე, გარდა გასახდელებში გათვალისინებული საპირფარეშოებისა, უნდა მოეწყოს 12 საპირფარეშო, თითოეულში უნდა განთავსდეს მინიმუმ 8 სველი წერტილი და 3 ხელსაბანი;
- ყინულის მოედნის ძირითადი ჰოლის ტერიტორია 800 მ², რომლიდანაც ძირითადი ხედი უნდა გადიოდეს ძირითად ყინულის მოედანზე.
- ზამბონისთვის გამოყოფილი ტერიტორია 45 მ²;
- კომპრესორების ოთახი 45 მ²;
- სხვადასხვა ინვენტარის შესანახი ოთახი 36 მ²;
- ყინულის მოედანზე შესასვლელი 64 მ²;
- ბილეთების გასაყიდი სივრცე 20 მ²;
- მასიური სრიალის გამოსაცვლელი ღია სივრცე 80 მ²;
- ლობი 95 მ²;
- ყინულის მოედანს გარშემო უნდა ჰქონდეს 9 შესასვლელი ყველა აღჭურვილი ვიზიტორთა გამშვები ტურნიკეტებით, 1 ძირითადი შესასვლელი ზემოთ ხსენებულ 800 კვადრატიან სივრცეში, სადაც განთავსებულია კვების ობიექტები, მოსასვენებელი ადგილები, ციგურების გასაქირავებელი ოთახი, მასიური სრიალისთვის ჩასაცმელი ოთახი, მაღაზიების და სხვა სოციალური სივრცეები;
- ძირითადი შესასვლელი უნდა გამოიყენებოდეს მასიური ციგურაობის მოციგურავეებისთვის, მაყურებლებისთვის, მშობლებისთვის და სხვა სამოყვარულო ღონისძიებებისთვის;
- ძირითადი შესასვლელიდან მარტივად უნდა ხდებოდეს ციგურის დაქირავება, მისი გამოცვლა და ყინულის მოედანზე გასვლა;
- მოთამაშეები, მწვრთნელები, გუნდის სხვა წევრები და მსაჯები, როგორც ვარჯიშისთვის ასევე შეჯიბრებების დროს უნდა იყენებნენ ყინულის მოედნის უკანა მხარეს მდებარე შესასვლელებს, რათა არ ჰქონდეთ თანაკვეთა მაყურებლებთან და სხვა დამსწრე საზოგადოებასთან;
- შენობაში გათვალისწინებული უნდა იყოს მინიმუმ 2 ლიფტი;
- თანამშრომლების მოსასვენებელი ოთახი 35 მ²;
- დარბაზის ელექტროობის საკონტროლებელი ოთახი 20 მ²;
- გასახდელების რაოდენობა ჯამში 6 (უნდა ემსახურებოდეს ორივე მოედანს) აქედან 3 ფიგურული სრიალისთვის და 3 ჰოკეისთვის. ტურნირის დროს 6-ვე გასახდელს გამოიყენებს ის ფედერაცია, რომელიც იქნება ღონისძიების მასპინძელი. აღნიშნული გასახდელებიდან გამოსვლის დროს უნდა ხვდებოდეთ დერეფანში რომელიც ყინულის მოედანს გასდევს სიგრძეზე, აღნიშნული დერეფნიდან ყინულის მოედანზე უნდა გადიოდეს 2 ე.წ. გვირაბი ტიპის

გასასვლელი, რომლებიც უნდა უკავშირდებოდნენ მოთამაშეების ბენჩებს და ასევე უშუალო გასასვლელი უნდა ჰქონდეთ ყინულის მოდანზე;

- მეორე მხარეს მდებარე 3 გასახდელიდან, რომელიც მდებარეობს ე.წ Scorekeeper's Bench-ის უკანა ნაწილში ასევე უნდა ხვდებოდეთ დერეფანში რომლიდანაც 2 ე.წ. ტუნელის ტიპის გასასვლელი უნდა გადიოდეს ყინულის მოედანზე, აღნიშნულ გასასვლელებს არ უნდა ჰქონდეთ წვდომა Scoorekeeper's Bench-ზე აღნიშნულზე ზემოთხსენებული დერეფნიდან დამატებით ერთი ე.წ. ტიპის ტუნელის გასასვლელი უნდა გადიოდეს;
- ყინულის მოედნის ერთ ბოლოში უნდა მდებარეობდეს სალესი-სარემონტო ოთახი, ხოლო მეორე ბოლოს შუა ნაწილში უნდა მდებარეობდეს ე.წ. ზამბონის ოთახი, საიდანაც ზამბონი შეძლებს გასვლას როგორც ერთ ყინულის მოედანზე, ასევე მეორე ყინულის მოედანზე (საზიარო ზამბონი). ზამბონის ოთახიდან ასევე უნდა გადიოდეს ტუნელი ყინულის მოედნის გარეთ რაც მოგვცემს საშუალებას დაზიანების შემთხვევაში გადავიყვანოთ ზამბონი სერვისზე, გამოვცვალოთ/ახლით ჩავანაცვლოთ და ა.შ.;
- ყინულის მოედანზე მუდმივად უნდა იმყოფებოდეს 2 ზამბონი, ძირითადად დატვირთული იქნება ერთი ზამბონი (საზიარო ზამბონი), მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, თუ ორივე ყინულის მოედანზე ერთდროულად იქნება ყინულის საფარი შესაცვლელი, ან თუ ერთი ყინულის მოედანზე სასწრაფოდ იქნება მოედნის საფარი გამოსაცვლელი ერთდროულად იმუშავებს ორივე ზამბონი;
- ზამბონის ოთახის გვერდით ნაწილში რომელიც მდებარეობს ორი ყინულის მოედნის შუა ნაწილში უნდა განთავსდეს სამსაჯო ოთახი და ასევე სამედიცინო ოთახი რათა მარტივი წვდომა ჰქონდეთ როგორც ერთ ყინულის მოედანზე ასევე მეორე ყინულის მოედანზე
- მეორე ყინულის მოედნის მოთამაშეების ბენჩის უკანა დერეფანში უნდა განთავსდეს 3 გასახდელი, რომელაც პირველი ყინულის მოედნის ანალოგიურად ე.წ. ტუნელის ტიპის 2 გასასვლელი ექნება ყინულის მოედანზე რომელიც დაკავშირებული იქნება მოთამაშეების ბენჩებთან და ასევე უშუალო გასასვლელი ექნება ყინულის მოედანზე.
- საპირისპირო მხარეს უნდა განთავსდეს ციგურების შესანახი ოთახი, ინვენტარის შესანახი ოთახი და საშრობი და სარეცხი ოთახი;
- ზემოთაღნიშნული დერეფნებიდან შესაძლებელი უნდა იყოს გასვლა ყინულის მოედნის გარე დარბაზში და ასევე მთლიანი პერიმეტრის გარშემო უნდა იყოს 12 Emergency გასასვლელი, გაუთვალისწინებელი შემთხვევის დროს ყინულის მოედნის სწრაფ ტემპში დასაცლელად.
- ყინულის მოედნის აგრეგატი უნდა იყოს განთავსებული ორივე ყინულის მოედნის შუა ნაწილში, რადგან შესაძლებელი მოცემულობიდან ყველაზე მოკლე გზა აკავშირებდეთ ყინულის მოედანს, რაც ითვლება ენერგოეფექტურად და საგრძნობლად ამცირებს მოვლა-პატრონობის ხარჯს.
- ყინულის მოედანი აღჭურვილი უნდა იყოს:
    - პლექსიგლასის დეშბორდი;
    - უსაფრთხოების ბადეებით, მოედანზე არსებულის კარების სივრცის უკან და ასევე მაყურებლების მხარეს ნაწილობრივ;
    - მოკლე დისტანციაზე მორბენალთათვის ყინულის მოედნის ბორტებზე მისადები მატები 80 სმ სიმაღლის, 30/60 მოედნის გარშემო;
    - წყლის სისტემით;
    - ყინულის მოედნის დრენაჟის სისტემით რომელიც უერთდება წყალარინების სისტემას, რაც გამოიყენება ყინულის მოედნის დროს წყლის დასაცლელად;
    - 2 ზამბონი;
    - ზამბონის წყლის დრენაჟის სისტემით, რომელშიც ზამბონი ყრის ყინულიდან მოჭრილ თოვლს თოვლი იწყებს დნობას და ექცევა საერთო წყალარინების სისტემაში;
    - 8 ცალი ყინულის ხოკეის კარები;
    - ამწე ყინულის მოედნის ჭერზე არსებული სანათების გამოსაცვლელად;
    - ტაიმერი და 6X3-ზე ყინულის მოედნის სქორბორდი;

- საათი ყინულის მოედნის ოთხივე მხარეს;
- აუდიო სისტემა, როგორც ყინულის მოედანზე ასევე მთელს დარბაზში არსებულ სივრცეში, მათი მუშაობა უნდა შეიძლებოდეს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად;
- სამედიცინო სკამი;
- მოთამაშეების და საჯარიმო სივრცისთვის გაკუთვნილი სკამები. მოთამაშეების სკამები გათვლილი 28 მოთამაშეზე, ხოლო საჯარიმო სკამები გათვლილი 5 მოთამაშეზე;
- ე.წ. Scorekeepers-ის სკამები გათვლილი 15 ადმიანზე თავისი მაგიდებით და ყინულის მოედანზე არსებული ელექტრო მოწყობილობების მართვის ინსტრუმენტები (scoreboard, timer-ის და სხვა მოწყობილობების მართვის ინსტრუმენტები);
- ყინულის მოედნის საფარის მატები, ყინულის მოედანზე სხვადასხვა ღონისძიების გასამართად.

საინჟინრო და საკომუნიკაციო სისტემების მოთხოვნები:

- სტადიონზე უნდა ფუნქციონირებდეს ორი ალტერნატიული ინტერნეტის წყარო, ერთი ყინულის მოედნისთვის და შესაბამისი აგრეგატებისთვის განკუთვნილი 50 მბ/წმ, ხოლო მეორე მომხმარებლებისთვის განკუთვნილი 30-40 მბ/წმ;
- ყინულის მოედნის საფარის ტემპერატურის დარეგულირება შესაძლებელი უნდა იყოს -10 დან -2 გრადუსამდე, ფიგურული ციგურაობისთვის რეგულირება შესაძლებელი უნდა იყოს -7.7 გრადუსიდან -5.5 გრადუსამდე ყინულის ფერი RAL 7035; ყინულის სისქე კი 3,5-დან 4 სმ-მდე სისქის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ყინულის მოედნის საფარის ტემპერატურის რეგულირება შესაძლებელი უნდა იყოს -10 გრადუსიდან -2 გრადუსამდე ზემოთ ჩამოთვლილი დიაპაზონების გათვალისწინებით;
- ყინულის მოედნის საფარიდან 1.5 მეტრის სიმაღლეზე ტემპერატურის დარეგულირება შესაძლებელი უნდა იყოს +6-იდან +18 გრადუსამდე;
- ყინულის მოედნის დარბაზში და გასახდელში ტემპერატურა უნდა რეგულირდებოდეს +6-იდან +20 გრადუსამდე;
- ყინულის მოედნის გარეთა დარბაზში ტემპერატურა უნდა რეგულირდებოდეს 20-25 გრადუსზე;
- ტემპერატურის რეგულირებიდან გამოწვეული ტენიანობის დასარეგულირებლად, რათა თავიდან იქნას აცილებული რკინის კონსტრუქციის დაჟანგვა და ასევე ხის კონსტრუქციის ლპობა, აუცილებელია დამონტაჟდეს რეგულირებადი-სექციური ვენტილაციის სისტემა, რომელიც უზრუნველჰყოფს ყინულის მოედნის შენობაში ტენიანობის რეგულირებას;
- იმისთვის რომ ზემოთაღნიშნულ რეგულირებას არ შეექმნას პრობლემა ყინულის მოედანს უნდა ჰქონდეს:
  - იზოლირებული კედლები და ჭერი - შესაძლებელს ხდის შიდა კლიმატის კონტროლს გარე კლიმატის მიუხედავად;
  - ენერგოეფექტური სამაცივრო დანადგარები - რომელიც უზრუნველჰყოფს მაღალი ხარისხის ყინულის მოედნის შენარჩუნებას;
  - ეფექტური გათბობის სისტემა, სითბოს აღდგენის ფუნქციით (დანადგარებიდან მიღებული სიმხურვალის მიმართვა შესაძლებელი უნდა იყოს შენობის გასათბობად);
  - ჰაერის დატენიანების სისტემა;
  - სათანადო განათება;
  - ყინულის მოედნის დარბაზისთვის უნდა გამოიყენებოდეს კონდიცირების ერთი სისტემა, ხოლო ყინულის მოედნის გარე ტერიტორიაზე, მთლიანი შენობის შიგნით, უნდა გამოიყენებოდეს მეორე კონდიცირების სისტემა.
- დიდი უპირატესობა ყინულის მოედნის საფარის ქვედა ნაწილს რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
  - საძირკველის ნიადაგი 500 მმ;
  - ხრეშით შევსება 500 მმ;

- იზოლაცია 100 მმ;
- ბეტონის საფარი 120 მმ;
- ყინული 25-30 მმ.

- ორი ყინულის მოედნის ერთი აგრეგატით მოწყობის შემთხვევაში სამაცივრო დანადგარი უნდა იყოს 600-700 KW-იანი;
- სამაცივრო დანადგარი მოედნის საფარს უნდა ყინავდეს ჩართვიდან არაუმეტეს 48 საათში;
- ყინულის მოედანზე განათება უნდა იყოს 1400 ლუქსი რეგულირებადი, როელიც ჩაირთვებაშეჯიბრის დროს ხოლო ვარჯიშის დროს 800 ლუქსი. გასახდელებში და დანარჩენ სივრცეებში არანაკლებ 300 ლუქსი;
- თანამედროვე ელექტრონული სისტემა სპეციალურად მოკლე დისტანციაზე მორბენალთათვის. სპეციალური ელექტორნული სამსაჯო სისტემა უნდა იყოს ჩამონტაჟებული ყინულის მოედანში შორტ ტრეკისთვის. აღნიშნული სისტემა გამოიყენება იმ გადამცემისთვის რომელიც მოკლე დისტანციაზე მორბენალს სირბილის დროს უკეთდება ფეხზე;
- უნდა დამონტაჟდეს ფიგურული ციგურაობის სამსაჯო სისტემა;
- ყინულის მოედნის დარბაზში უნდა იყოს აკუსტიკის სისტემა რომლის რევერბერაციის დრო უნდა იყოს 3 წამზე ნაკლები;
- ყინულის მოედანზე არსებული ნებისმიერი ელექტორნული სისტემა უნდა იყოს ავტომატიზირებული და მისი მართვა უნდა იყოს შესაძლებელი დისტანციურად;
- ყინულის მოედნის მთელს შენობაში განლაგებულ სველ წერტილებში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ცხელი წყალი. ცხელი წყლის სისტემა უნდა იყენებდეს რეცირკულაციის მეთოდს რაც უზრუნველჰყოფს წყლის გათბობის მოსალოდნელი დროის შემცირებას.

1.2.3.. გასაწევი მომსახურების ეტაპები, ძირითადი მოთხოვნები და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;

გასაწევი მომსახურება შედგება შემდეგი 5 (ხუთი) ეტაპისაგან:

- **<u>I ეტაპი</u> საძიებო სამუშაოები, საპროექტო ტერიტორიის კვლევის დოკუმენტაცია;**
- **<u>II ეტაპი</u> ესკიზური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;**
- **<u>III ეტაპი</u> დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;**
- **<u>IV ეტაპი</u> პროექტის შეთანხმება;**
- **<u>V ეტაპი</u> სამშენებლო სამუშაოები;**

<u>I ეტაპი</u>

მომსახურების I ეტაპზე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს არქიტექტურული პროექტის კომპონენტში - საველე საძიებო სამუშაოების ჩატარება და საპროექტო ტერიტორიის კვლევა.

ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის კომპონენტში - საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მომზადება (საჭიროების შემთხვევაში).

<u>მომსახურების I ეტაპზე წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:</u>

- საკადასტრო დოკუმენტაცია (საპროექტო და არსებული მდგომარეობის ტოპო გეგმაზე დატანილი იქნას რეგისტრირებული მიწის ნაკვეთ(ებ)ის გეგმა საკადასტრო საზღვრების და კოდების მითითებით);
- ტერიტორიის ტოპოგრაფიული გადაღება;
- ტერიტორიის დეტალური საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ანგარიში;
- ინფორმაცია არსებული კომუნიკაციების თაობაზე;
- არსებული სიტუაციის ამსახველი უახლესი ფოტომასალა;
- პროექტის ტექნიკური და ეკონომიკური დასაბუთება, შესაძლო ალტერნატივის მიმოხილვის ჩათვლით, პრობლემებისა და რისკების ანალიზი, პროექტის პარამეტრებისა და მასშტაბების (მათ შორის ფინანსური მასშტაბების), განხორციელების სავარაუდო მეთოდისა და

გრაფიკის განსაზღვრით. საჭიროების შემთხვევაში, პირველადი ინფორმაცია ობიექტების სასმელი წყლითა და ელექტროენერგიით უზრუნველსაყოფად, საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელებთან მიერთებებთან დაკავშირებით;

- არსებობის შემთხვევაში პირველი ეტაპის ფარგლებში მიმწოდებელმა უნდა მოამზადოს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული შენობა ნაგებობების დემონტაჟის პროექტი, რომელიც თავის მხრივ, ნებართვის გამცემ შესაბამის სტრუქტურასთან უნდა შეთანხმდეს არაუგვიანეს მომსახურების პირობებით გათვალისწინებული მესამე ეტაპის შესაბამისი მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებამდე;
- განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პირველადი ვარიანტი;

ობიექტების პირველადი მონახულება, უნდა მოხდეს შემსყიდვლის და ბენეფიციარის მიერ განსაზღვრული, უფლებამოსილი პირის თანდასწრებით.

<u>საძიებო კვლევითი სამუშაოების განხორციელების, შესაბამისი ანგარიშების, სამშენებლო-სარეაბილიტაციო მეთოდისა და კონცეფციის წარმოდგენის შემდეგ, შემსყიდველი დააზუსტებს პროექტის პარამეტრებს, მასშტაბებსა და სავარაუდო გადაწყვეტებს, რის შემდეგაც მიიღება გადაწყვეტილება მომსახურების შემდგომი ეტაპის განსახორციელებლად. პირველადი შესწავლის შემდეგ შესაძლებელია შემსყიდვლის მიერ მიღებული იყოს გადაწყვეტილება მომსახურების შეწყვეტის თაობაზე.</u>

<u>II ეტაპი</u>

მომსახურების II ეტაპზე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს არქიტექტურული პროექტის კომპონენტში - ესკიზური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება სამი ალტერნატიული არქიტექტურული კონცეფციის ფარგლებში;

ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის კომპონენტში - საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის მომზადება და დამტკიცება შესაბამის სტრუქტურებში.

II ეტაპით გათვალისწინებული, მომსახურების ფარგლებში წარმოსადგენი დოკუმენტაცია უნდა შედგებოდეს:

- ტოპო გადაღება UTM (საერთაშორისო) კოორდინატთა სისტემით;
- გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური დასკვნა (საჭიროების შესაბამისად);
- სიტუაციური და გენერალური გეგმები (მ 1:500; 1: 1000);
- აეროფოტოგადაღება;

ხოლო თითოეული კონცეფციის შესაბამისად ცალკე:

- განმარტებითი ბარათი;
- ესკიზური არქიტექტურული პროექტი;
- ძირითადი კონსტრუქციული გადაწყვეტები;
- ესკიზური დენდროლოგიური პროექტი;
- რენდერები და ფოტომონტაჟი;

ესკიზური საპროექტო დოკუმენტაციის პირველადი განხილვა, ეტაპით განსაზღვრული სამუშაოების მიღებამდე, უნდა მოხდეს და ბენეფიციარის და შესაბამის ფედერაციების შესაბამის თანამშრომლებთან კონსულტაციების შემდგომ.

<u>ესკიზური საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, შემსყიდველი დააზუსტებს პროექტის პარამეტრებს, მასშტაბებსა და სავარაუდო გადაწყვეტებს, რის შემდეგაც მიიღება გადაწყვეტილება მომსახურების შემდგომი ეტაპის განსახორციელებლად. პირველადი შესწავლის შემდეგ შესაძლებელია შემსყიდვლის მიერ მიღებული იყოს გადაწყვეტილება რომელიმე ობიექტზე მომსახურების შეწყვეტის თაობაზე.</u>

III ეტაპი

მომსახურების III ეტაპზე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ესკიზური საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება, შემსყიდველის, ბენეფიციარისა და ნებართვის გამცემი სტრუქტურის, შენიშვნა რეკომენდაციების გათვალისწინებით, და საბოლოოდ შემსყიდველს წარუდგინოს ყველა მხარესთან შეთანხმებული დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია;

III ეტაპით გათვალისწინებული დოკუმენტაცია უნდა შედგებოდეს შემდეგი დოკუმენტებისაგან:

- განმარტებითი ბარათი;
- ტოპო გადაღება UTM (საერთაშორისო) კოორდინატთა სისტემით;
- ვიზიტორთა მართვის გეგმა;
- სიტუაციური და გენერალური გეგმები (მ 1:500; 1: 1000);
- არქიტექტურული სამუშაო ნახაზები (გეგმები, ჭრილები, ფასადები, დეტალები, კვანძები (მ. 1:100, 1:50,);
- ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარება, (მ 1:100; 1:500; 1:1000;);
- მოსაპირკეთებელი, კეთილმოწყობის სამუშაოების უწყისები, ტერიტორიის კეთილმოწყობის, გამოსაყენებელი მასალების სრული სპეციფიკაციები; იატაკების, ჭერების და კარ-ფანჯრების სპეციფიკაციები;
- არქიტექტურული მცირე ფორმების დეტალური ნახაზები - ჩამოსაჯდომი სკამი, საჩრდილობელი, დეკორატიული ელექტრო ბოძი, წყლის სოკო და ა.შ (საჭიროების შესაბამისად);
- კონსტრუქციული სამუშაო ნახაზები (სქემები, დეტალები, კვანძები, სპეციფიკაციები (მ. 1:100, 1:50, 1:25);
- საინჟინრო ნაწილი: - ელ.ქსელი, კანალიზაცია, წყალმომარაგება, სანიაღვრე, გათბობა (სქემები, დეტალები, კვანძები, სპეციფიკაციები);
- დენდროლოგიური პროექტი;
- სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი, საჭირო მანქანა-დანადგარების ჩამონათვალი, სამუშაოების ჩატარების კალენდარული და სავარაუდო ფინანსური გრაფიკი;
- ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობების უწყისები და ხარჯთაღრიცხვა - რესურსული და გამსხვილებული ვერსიები;
- სატენდერო დოკუმენტაციის დეტალური და ზოგადი სპეციფიკაციები;
- საინჟინრო კომუნიკაციებზე დატვირთვების განსაზღვრა შესაბამისი უწყებებიდან ტექნიკური პირობების მისაღებად (საჭიროების შესაბამისად);
- ეკონომიკური ანალიზი (უნდა მოიცავდეს პროექტის განხორციელებისთვის საჭირო კაპიტალურ ხარჯებს და ასევე საოპერაციო და მოვლა-შენახვის საშუალო წლიურ ხარჯებს. აღნიშნული მონაცემები აუცილებელია მომზადდეს პროექტის ტექნოლოგიური გადაწყვეტის ყველა შესაძლო ალტერნატივისთვის (პროექტის ტექნიკური თავისებურებებიდან გამომდინარე წარმოდგენილ უნდა იყოს ტექნოლოგიური გადაწყვეტის სულ მცირე ორი ალტერნატივა). ასევე წარმოდგენილ უნდა იქნას ხარჯების გაანგარიშების თითოეული ალტერნატივის მეთოდოლოგია შესაბამისი განმარტებითა და მონაცემთა წყაროების მითითებით;
- საინჟინრო ნაწილი: შიდა და გარე ელმომარაგება, კანალიზაცია, წყალმომარაგება, გაზმომარაგება, სანიაღვრე, გათბობა, ვენტილაცია, სუსტი დენები- სისტემები და სხვა (სქემები, დეტალები, კვანძები, სპეციფიკაციები); გარე ქსელების მიერთება და ქსელებზე მიერთების საფასურის გადახდას (საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილებების შესაბამისად). პროექტით გათვალისწინებული ყველა ტექნოლოგიური და ელექტრო მოწყობილობა-დანადგარის საპროექტო მახასიათებლები. მოცემული უნდა იყოს ყველა სისტემის საპროექტო დატვირთვები სათანადო ნორმატივების მითითებით. გამოყენებული დანადგარები და მასალები უნდა უზრუნველყოფდეს მაქსიმალურ ენერგოეფექტურობას.

III ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების ფარგლებში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემდეგი მასალის წარმოდგენა:

1. არქიტექტურული პროექტი;
2. კონსტრუქციული პროექტი;
3. საინჟინრო გეოლოგიური კვლევა;
4. ვერტიკალური გეგმარება; ტერიტორიის შემოღობვის პროექტი;
5. ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი;
6. ვენტილაციის პროექტი;
7. გათბობა გაგრილების პროექტი;
8. ელ მომარაგების პროექტი:
9. სუსტი დენების პროექტი;
10. წყალმომარაგება წყალარინების (კანალიზაციის) პროექტი;
11. შიდა და გარე წყალმომარაგება (საჭიროების შემთხვევაში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობა)-კანალიზაციის ნაწილი;
12. ტერიტორიის გარე სანიაღვრე-სადრენაჟო სისტემის ნაწილი;
13. ტექნოლოგიური აღჭურვის პროექტი;
14. გაზმომარაგება;
15. ხანძარქრობის პროექტი; (მოიცავს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან პროექტის შეთანხმებას)
16. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი, კალენდარული და ფინანსური გეგმა გრაფიკით;
17. გარემოსდაცვითი ღონისძიებების მართვის პროექტი და არქეოლოგიური კვლევის დასკვნა;

საინჟინრო პროექტის ზემოთ აღნიშნულ ნაწილებს უნდა დაერთოს საპროექტო გადაწყვეტების დასაბუთება შესაბამისი საინჟინრო გაანგარიშებებით.

III ეტაპის ფარგლებში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თითოეულ საინჟინრო ნაწილზე შესაბამისი სიმძლავრეების განსაზღვრა და დოკუმენტის სახით დამოწმებული უშუალოდ შემსრულებელი სპეციალისტისა და საპროექტო ორგანიზაციის მიერ, უნდა წარმოადგინოს ტექნიკური პირობები შემდეგ საინჟინრო პროექტებზე:

1. წყალმომარაგება;
2. წყალარინება, კანალიზაცია:
3. ელ. მომარაგება;
4. გაზმომარაგება.

IV ეტაპი

მომსახურების **IV ეტაპზე** მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირება, მომსახურების **III ეტაპის** ფარგლებში შემსყიდველის, ნებართვის გამცემი სტრუქტურისა და ბენეფიციარის შენიშვნა-რეკომენდაციების გათვალისწინებით.

IV ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები დასრულებულად ჩაითვლება საპროექტო დოკუმენტაციის ნებართვის გამცემ შესაბამის სტრუქტურასთან შეთანხმების შემდეგ.

მიმწოდებელმა პროექტის შეთანხმების სტადიაზე უნდა უზრუნველყოს დარგის შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა შესაბამისი საექსპერტო დასკვნის მომზადება.

წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში მითითებული უნდა იყოს გამოყენებული სამშენებლო ნორმები და წესები, გაანგარიშებების მეთოდები.

ტექნიკური სპეციფიკაციები უნდა მოიცავდეს ზოგად მითითებებსა და რეკომენდაციებს. ასევე, დეტალურ სპეციფიკაციებს (ყველა აუცილებელი სტანდარტის მითითებით) გამოყენებული მასალების, სამუშაოთა შესრულების მეთოდებისა და ხარისხის კონტროლისათვის.

პროექტის გრაფიკული ნაწილი (როგორც სამშენებლო, ასევე სატენდერო ნახაზები) შესრულებული უნდა იყოს სამუშაო დოკუმენტაციისათვის მოთხოვნილი ნორმების და სტანდარტების შესაბამისად, სათანადო მასშტაბში და დეტალიზაციით.

IV ეტაპის ფარგლებში კონსულტანტმა უნდა წარმოადგინოს

- პროექტის თითოეულ ნაწილზე პროექტისა და სახარჯთაღრიცხვო მონაცემების შესაბამისობის დასკვნა;
- ხარჯთაღრიცხვა (რესურსული და გამსხვილებული ვარიანტი) წაროდგენილი უნდა იყოს დოკუმენტაციის წარდგენის დროისთვის შესაბამისი კვარტლის მდგომარეობით არსებული ღირებულებით;

მომსახურების IV ეტაპზე საკონსულტაციო ორგანიზაციამ - მიმწოდებელმა, უნდა უზრუნველყოს საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის მომზადება და დამტკიცება შწესაბამის სტრუქტურებთან (საჭიროების შემთხვევაში).

V ეტაპი

მომსახურების V ეტაპზე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შეთანხმებული პროექტის საფუძვეზე სამშენებლო სამუშაოების წარმოება.

1.2.4.. განსაკუთრებული პირობა

სამშენებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში, შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს პროექტის ავტორ ექსპერტთა ჯგუფის, საპროექტო გადაწყვეტათა დაზუსტებაში, და საჭიროების შემთხვევაში მუშა დოკუმენტაციის, სამშენებლო მოცულობების და ხელშეკრულების სხვა შესაბამისი ცვლილებების მომზადება-შეთანხმებაში.

1.2.5. შემსყიდველის წვლილი

შემსყიდველი გადასცემს მიმწოდებელს მის ხელთ არსებულ ყველა მასალას, რომელიც შეიძლება საჭირო იყოს მომსახურების გაწევისათვის.

1.3. ხარჯთაღრიცხვა

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამუშავებული უნდა იყოს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად და შემსყიდველთან საბოლოო სახით წარდგენილი უნდა იყოს როგორც რესურსული, ასევე სატენდერო ფორმატის სახით. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამუშავებული უნდა იყოს მშნებლობის ნებართვის გაცემის პერიოდში, მშნებლობის შემფასებელთა კავშირის მიერ გამოქვეყნებული უახლესი დოკუმენტის - „სამშნებელო რესურსების ფასები“-ის მონაცემებზე დაყრდნობით.

1.4. მომსახურების მიწოდების ვადები

1.4.1. ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) კვირის ვადაში მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს მომსახურების I ეტაპით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას, საძიებო სამუშაოებისა და კვლევების ანგარიშებს.

1.4.2. I ეტაპით გათვალისწინებული მომსახურებასთან დაკავშირებით შესაბამისი შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) კვირის ვადაში მიმწოდებელი შესათანხმებლად წარუდგენს შემსყიდველს მომსახურების II ეტაპით გათვალისწინებულ შუალედურ ესკიზურ საპროექტო დოკუმენტაციას.

1.4.3. II ეტაპით გათვალისწინებული მომსახურებასთან დაკავშირებით შესაბამისი შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) კვირის ვადაში მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს III ეტაპით გათვალისწინებულ, შემსყიდველისა და ბენეფიციარის შენიშვნებისა და კომენტარების გათვალისწინებით დამუშავებული და კორექტირებული ესკიზური საპროექტო დოკუმენტაცია.

1.4.4. შუალედური ესკიზური საპროექტო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების აქტის (#3 მიღება ჩაბარების აქტი) გაფორმებიდან 4 (ოთხი) კვირის ვადაში მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს, მომსახურების IV ეტაპით გათვალისწინებულ დეტალურ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას და დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმას.

1.4.5. V ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები განხორციელდება, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე.

2.1 სამშენებლო სამუშაოების წარმოება;

V ეტაპზე განსახორციელებელი სამუშაოები:

- ჩართულ მხარეებთან და შემსყიდველთან შეთანხმებული დეტალური პროექტის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების წარმოება;
- სახანძრო უსაფრთხოებით გათვალისწინებულ სამუშაოებზე ექსპერტიზის ჩატარება;
- სამშენებლო სამუშაოების დრო განისაზღვრება წინა ეტაპზე შეთანხმებული გეგმა გრაფიკის მიხედვით;
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #255 დადგენილების 30-ე მუხლის შესაბამისად მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია, საპროექტო შენობის ექსპლუატაციაში მიღება და აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოქმნილი (არსებობის შემთხვევაში) მოსაკრებლებისა და ხარჯების ანაზღაურება, საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში ობიექტი დასრულებულად არ ჩაითვლება.

  - **მიმწოდებელი უფლებამოსილია, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, შესათანხმებლად წარუდგინოს შემსყიდველს, მის მიერ შემუშავებული, საპროექტო მომსახურების გაწევის და სამშენებლო სამუშაოების შესრულების ვადები (გრაფიკი, მოცულობები, პარალელურად განსახორციელებელი აქტივობები (პროექტირება-მშენებლობა), იმ პირობის გათვალისწინებით, რომ მიმწოდებელი შემსყიდველს დასრულებულ ობიექტს ჩააბარებს არაუგვიანეს 2024 წლის 30 ნოემბრისა).**
  - სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს სამშენებლო სამუშაოების შესრულების ფინანსურ-ხაზობრივი გეგმა-გრაფიკი; სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, მიმწოდებელმა შემსყიდველს ასევე უნდა წარმოადგინოს სამშენებლო სამუშაოების ორგანიზებისა და წარმოების (მათ შორის ყინულის მოედნის მოწყობის) დეტალური პროექტი.
  - მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს, დასრულებულ სამუშაოებზე, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს მიერ გაცემული, შესაბამისი საექსპერტო დასკვანა.
  - **მიმწოდებელი ვალდებულია, განახორციელოს ყინულის მოედნის ტექნიკური პერსონალის შესაბამისი ტრენინგი/ინსტრუქტაჟი; ასევე, მიმწოდებელი ვალდებულია, გამოყოს შესაბამისი წარმომადგენელი/წარმომადგენლები, შესრულებული სამუშაოების საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, შესრულებულ სამუშაოებზე, საჭიროების მიხედვით - პერიოდული / გადაუდებელი საზედამხედველო მომსახურების გაწევის მიზნით.**

ყოველი სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ნორმებსა და რეგულაციებს. ყველა სამუშაო უნდა შესრულდეს მაღალკვალიფიციური მუშახელის მეშვეობით. თავდაპირველად, სამუშაოების დაწყებამდე მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს გარანტიები, რომ ყოველი პირობა შეესაბამება სამუშაოების ეფექტურად განხორციელებას.

მიმწოდებელი ვალდებული გაითვალისწინოს შესაძლო დაუგეგმავი და მშენებლობის ხელისშემშლელი შედეგები მშენებლობის პროცესში, მათ შორის:

• სამუშაოები უნდა განხორციელდეს უწყვეტად და მიმწოდებელი ვალდებულია დათქმულ ვადებში განახორციელოს სამუშაოები.

• დროულად მოაწოდოს სამშენებლო მასალები სამუშაო პროცესის დროს. სამუშაოების განხორციელების პროცესში გასათვალისწინებელია შემდეგი პირობები:

• საჭიროებისამებრ არსებული შენობა ნაგებობების დემონტაჟი.

• მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს სამუშაოს შემსრულებელი მუშა-ხელის დროებითი საცხოვრებელი შენობა ნაგებობები და ყოველგვარი უსაფრთხოების წესების დაცვა.

• სამივე მხარე მათ შორის: პროექტის ავტორი, შემსყიდველი და მიმწოდებელი ვალდებულია აკონტროლოს სამუშაოების პროცესის გამართულობა.

• მიმწოდებელი ვალდებულია განათავსოს მუშა-ხელის საცხოვრებელი შენობა ნაგებობები და საჭირო ხელსაწყოებისა და მასალების შემნახველი საწყობი, სამშენებლო პროცესის განხორციელების ადგილიდან მოშორებით.

• მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას შემდეგი სტანდარტები HSE, QA/QC სამუშაოების განხორციელების პროცესში უსაფრთხოების წესების დაცვა.

მიმწოდებელი ვალდებულია მიიღოს ყველა ზომები, რათა უზრუნველყოს ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი ნორმებისა და კანონების შესაბამისი უსაფრთხოების წესების დაცვა.

მიმწოდებელი ვალდებულია მძიმე ტექნიკით მიწის სამუშაოების ჩატარება არ მოახდინოს უკვე არსებული შენობის მიმდებარედ, მანამ სანამ არ განხორციელდება არსებული შენობა ნაგებობის დემონტაჟი. არსებული შენობა ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოებს ან მათ დაცვას უნდა განკარგავდეს მიმწოდებელი.

სამშენებლო ან სადემონტაჟო სამუშაოების პროცესში რაიმე სახის კომუნიკაციების აღმოჩენის შემთხვევაში, მაგ. ცივი და ცხელი წყლისა და კანალიზაციის მილგაყვანილობის ან ელექტრო რაიმე სახის კაბელების აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გაითვალისწინოს და შეისწავლოს მათი არსებობის მიზეზები და საჭიროებისამებრ შეცვალოს ისინი.

2.2 მასალები

სამშენებლო სამუშაოებისათვის განკუთვნილი მანქანა-დანადგარები, ხელსაწყოები, მასალები, მძიმე ტექნიკა და სხვა უნდა იყოს კარგ, მუშა მდგომარეობაში, მთელი სამუშაო პერიოდის განმავლობაში და ასევე უნდა მოხდეს მათი აღწერა, რომლებსაც განახორციელებს მიმწოდებელი შემსყიდველის თანხმობის შემდეგ.

2.3 დამხმარე სამუშაოები

მიმწოდებელი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების შესრულების პროცესისა და მისი დასრულების შემდეგ განახორციელოს შემდეგი ოპერაციები: სამუშაოების შესრულების დროს უსაფრთხოების წესების დაცვა, შესრულებული სამუშაოების პროცესის დროს და მისი დასრულების შემდეგ განხორციელებული სამუშაოების ტესტირება, შესაბამისი დანადგარებისა და 30 ხელსაწყოების და ასევე საჭირო მუშა ხელის მეშვეობით, რომლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

<u>2.4 უსაფრთხოება</u>

<u>სამშენებლო სამუშაოების პროცესში დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების ნორმები, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით;</u>

ყველა აღჭურვილობა, ელექტრო სადენები და მათი შეერთებები უნდა დაპროექტდეს და შესრულდეს, ისე რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ხანძრის გაჩენის და გავრცელების რისკი. მაღალი ძაბვის დროს რაიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად აუცილებლად გამოყენებული უნდა იქნეს წრიული ამომრთველები. ასევე აუცილებლად გასათვალისწინებელია წრედიდან ამორთვის დროს ძაბვის მთლიანი დატვირთვით სხვა ხაზზე გადასვლა. მინიმალური ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები:

• გამოყენებული საკაბელო არხები უნდა იყოს ცეცხლმედეგი;

• საკაბელო არხები არ უნდა იტბორებოდეს;

• ადვილად უნდა ხერხდებოდეს დახურული საკაბელო არხების ინსპექტირება;

• ისე უნდა განთავსდეს დანადგარები და აღჭურვილობა, რომ არ წარმოიქმნას პატარა ორმოები, სადაც შესაძლებელია დაგროვდეს აალებადი ნივთიერებები;

• კედლები და კაბელების გაყვანის ადგილები უნდა შეიფუთოს ცეცხლმედეგი მასალით;

3.1 მასალები

ყველა გამოყენებული მასალა უნდა იყოს ახალი, უმაღლესი ხარისხის და სათანადო პირობებში მუშაობისთვის შესაფერისი. ტემპერატურისა და წნევის ცვლილების დროს გამოყენებულმა მასალებმა არ უნდა განიცადოს დეფორმაცია და არ უნდა დამახინჯდნენ, ასევე არ უნდა იქონიონ გავლენა ნაგებობის უსაფრთხოებაზე, ეფექტურობასა და საიმედობაზე, ასევე უნდა უზრუნველყონ მაქსიმალური ენერგოეფექტურობა.

ყველა მასალა უნდა შეესაბამებოდეს დამტკიცებულ თანამედროვე სტანდარტებს. გამოყენებული ნორმები, ანალიზის ზუსტი მონაცემები, მასალის სპეციფიკაციები, ქიმიური და მექანიკური დამუშავების პროცესები წინასწარ უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან.

დაუშვებელია აზბესტის შემცველი ნებისმიერი მასალების გამოყენება. ანალოგიურად, არ არის დასაშვები მარილის ან ზეთების გამოყენება, რომელიც შეიცავს პოლიხლორირებულ ბითლენილს (PCB).

შემსყიდველის ნებართვის გარეშე დაუშვებელია შედუღების ან/და სხვა შეერთების კვანძების შეფუთვა.

3.2 აღჭურვილობის გარანტია

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი გამოყენებული ტექნიკა თუ აღჭურვილობა არ გამოვა მწყობრიდან, ხელშეკრულებით განსაზღვრული საგარანტიო ვადის გასვლამდე (ამ ტექნიკის თუ აღჭურვილობის სწორი ექსპლუატაციის პირობით). შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ნებისმიერ ტექნიკასა თუ აღჭურვილობაზე თუ ის არ შეესაბამება მოთხოვნილ ნორმებს.

<u>სამშენებლო სამუშოების დასრულების და სათხილამურო და სნოუბორდის საერთაშორისო ფედერაციის (FIS) თანხმობით შენობის ექსპლუატაციაში გაშვების საბოლოო ვადაა - 2024 წლის 31 დეკემბერი.</u>

<u>ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის დამტკიცებასთან, არქიტექტურული პროექტის და მასთან შემხებლობაში მყოფი დოკუმენტების შეთანხმებასთან, მშენებლობის ნებართვის მოპოვობესთან, და მუნიციპალური თუ კერძო შესაბამისი სერვისებიდან, საინჟინრო ქსელებში ჩართვასთან დაკავშირებული, წარმოქმნილი ყველა ოფიციალური მოსაკრებელი თუ გადასახადის დაფარვა წარმოადგენს მიმწოდებლის ვალდებულებას.</u>

მიმწოდებელმა (კონსულტანტი) საბოლოოდ უნდა გადასცეს შემსყიდველს დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია და სატენდერო მასალები დაბეჭდილი ორ ავტორიზირებულ ეგზემპლარად, A3 ფორმატზე, ქართულ ენაზე, შეთანხმებულს ყველა ჩართულ მხარესთან. წარმოდგენილ მასალებს თან უნდა დაერთოს მათი სრული ელექტრონული ვერსიები (ტექსტური ნაწილი Word და Excel ფაილების სახით, ხოლო ნახაზები - CAD, PLN და PDF ფორმატში).

4.1. მომსახურების მიწოდების ფორმა და ადგილი

4.1.1. მოსახურების ყველა ეტაპის ანგარიში წარდგენილი უნდა იყოს წერილობითი სახით.

4.1.2. მომსახურების I; II და III ეტაპით გათვალისწინებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა ყველა ქართულ ენაზე 2 (ორი) ეგზემპლარად ბეჭდური ვერსიით მყარი ასლის სახით, წარმოდგენილ მასალებს თან უნდა დაერთოს მათი ელექტრონული ვერსიები (ტექსტური ნაწილი Word და Excel ფაილების სახით, ხოლო ნახაზები - AutoCAD/ArchiCAD და PDF ფორმატებში).

4.1.3. საბოლოო დეტალური საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, როგორც ელექტრონულ ფორმატში ((ტექსტური ნაწილი Word და Excel ფაილების სახით, ხოლო ნახაზები - CAD, PLN და PDF ფორმატში) კომპაქტური დისკებით (CD ან DVD). სახით.), ასევე ბეჭდური ვერსიით მყარი ასლების (A4; A3 და A2 ფორმატში) სახით. საბოლოო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ინდივიდუალურ ალბომად, ქართულ ენაზე, არქიტექტურული და კონსტრუქციული პროეტეი 4 (ოთხი) ეგზემპლარად ხოლო პროექტის შემადგენელი დანაჩენი ნაწილი 2 (ორ) ეგზემპლარად.

4.1.4 მომსახურების ყველა ეტაპით გათვალისწინებული დოკუმენტაცია და საბოლოო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N150, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.